Tbilisi State Academy of Art
22, Griboedov str. 0108, Tbilisi, GE

თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტი 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში

აცხადებს მიღებას შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამის მსურველთა დიდი ინტერესისა და მოთხოვნის გამო, ვაცხადებთ:

- მედიახელოვნება/ციფრული მედია (ინგლისურენოვანი პროგრამა)- **6 ადგილი**
- მედიახელოვნება/ციფრული მედია (ქართულენოვანი პროგრამა) - **4 ადგილი**

სადოქტორო პროგრამა „მედია ხელოვნება/ციფრული მედია“მიზნად ისახავს თანამედროვე მკვლევარების განათლებას, რომელთა ცოდნა ეფუძნება ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობებს და ტრადიციული დისციპლინების სინთეზს ვიზუალურ ხელოვნებაში. ეს პროგრამა ეხება მნიშვნელოვან გამოწვევას უახლესი ციფრული ინდუსტრიების ფორმირებასა და განვითარებაში. “მედია ხელოვნება/ციფრული მედიის” სადოქტორო პროგრამა საშუალებას იძლევა შეისწავლოთ და დანერგოთ ახალი ტექნოლოგიები სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა მულტიმედიური ინდუსტრია, მათ შორის კინო, ფოტოგრაფია, ვირტუალური, გაძლიერებული და შერეული რეალობა, ანიმაცია, თამაშის დიზაინი, ვიდეო დიზაინი, კომუნიკაციის ახალი შესაძლებლობები, ციფრული მოდელირება და განათლება და ტრენინგი ნებისმიერ დონეზე.

სადოქტორო პროგრამა „მედია ხელოვნება/ ციფრული მედია“მიზნად ისახავს კვალიფიციური ხელოვანების განათლებას, მკვლევარების და ამ დარგის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მომავალი პროფესორების აღზრდას. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებში შემდეგი კომპეტენციების განვითარებას:

1. R-Research - სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარებას მედიახელოვნების სფეროში თანამედროვე მოთხოვნების დაცვით.

2. C-Creative - სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვას მედიახელოვნების სფეროში თანამედროვე მოთხოვნების დაცვით.

3. E-Experiment - ექსპერიმენტულის და კრეატიულის გამოვლენას, შეფასებას, შესწავლას, ანალიზს, ამოცანების დასაბუთებული დასკვნების მიღებას, მათ შესახებ ობიექტურ მსჯელობას და გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზებას.

4. P-Practice - ტექნოლოგიური და გრაფიკული მოდელირების პროცესების გააზრებას მედიახელოვნების კონტექსტში და ამ სფეროში უახლესი და სიღრმისეული ცოდნის შეძენას, პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

5. L-Lessoning - პედაგოგიურ მუშაობას შესაბამის სფეროში: ლექციების წაკითხვა და პრაქტიკული კლასები, სარეჟისორო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ახალი ცოდნის შექმნას. პედაგოგიურ მუშაობას შესაბამისი მიმართულებებით: ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობას.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება: აქვს პირს, რომელმაც მოიპოვა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან მის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლება აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს და რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამით დადგენილ წინაპირობებს. www.art.edu.ge

<u>რეგისტრაცია:</u>

სადოქტორო პროგრამებზე მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება დეკანის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადი ინფორმაცია (CV);
3. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
4. უმაღლესი განათლების უცხო ქვეყანაში მიღების შემთხვევაში, დიპლომისა და დანართის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანები და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; საიდენტიფიკაციო ბარათის/პასპორტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის – სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი)
6. სამუშაო გამოცდილება (მინიმუმ 3 წელი) შესაბამის დარგში, შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.
7. უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (თუ ასეთი მოეპოვება დოქტორანტობის კანდიდატს) ნოტარიულად

დამოწმებულ ასლთან ერთად (იხილეთ სერთიფიკატების ჩამონათვალი, რომელსაც აღიარებს თსსა)

8. სამოტივაციო წერილი, დასმული საკვლევი პრობლემა და კანდიდატის ხედვა მისი გადაჭრის გზებზე;
9. დამატებით ვიზუალური მასალა (პორტფოლიო), საკუთარი კომპეტენციიის დასადასტურებლად.

დოკუმენტების მიღება და ვადები:

ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე „მედიახელოვნება/ციფრული მედია "მიღების მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ 2024 წლის 13 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ძმები ზუბალაშვილების ქ, 25. მე-5 სართული, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანატი.

ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამაზე „მედიახელოვნება/ციფრული მედია" დოკუმენტების წარმოდგენა ასევე შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: info@art.edu.ge; mediaarts.faculty@art.edu.ge

უცხო ენებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია:

- უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი: თუ იგი წარმოადგენს ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს (იხილეთ სერთიფიკატების ჩამონათვალი, რომელსაც აღიარებს თსსა), ან თუ ამ ენებს (გარდა ინგლისურისა) ჩააბარებს B2 დონეზე; იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს, დამატებით ბარდება გამოცდა ინგლისურ ენაში B1 დონეზე.
- გამოცდისაგან თავისუფლდება აგრეთვე დოქტორანტობის ის კანდიდატი, რომელსაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხური გავლილი აქვს ინგლისურ, ფრანგულ ან გერმანულ ენაზე, თუმცა გერმანული ან ფგრანგული ენის შემთხვევაში იგი დამატებით აბარებს გამოცდას ინგლისურში B1 დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ მას ამავე დროს აქვს ინგლისური ენის B1 ან მეტი დონის სერტიფიკატი, მაშინ სრულად თავისუფლდება გამოცდიდან (წარმოდგინილი უნდა იყოს უცხო ენაზე განათლების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).

გამოცდა უცხო ენაში:

ვისაც არ აქვს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ჩააბარებს თსს აკადემიის მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში, რომელიც ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **ამა წლის 9 სექტემბერს** (ზუსტი დრო და აუდიტორია გეცნობებათ მოგვიანებით).

პროექტი/პრეზენტაცია:

2024 წლის 23 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით (ზუსტი თარიღი გეცნობებათ) ჩატარდება პროექტის პრეზენტაცია იმ კანდიდატებთან, ვინც წარმატებით დაძლია უცხო ენის გამოცდა და/ან წარმოდგენილი აქვს შესაბამისი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი მისი სამომავლო კვლევის სფეროში, გარდა პრეზენტაციისა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს რეფერატი, არანაკლებ 10 გვერდისა, რომელსაც აფასებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისია.

რეფერატის შეფასების კრიტერიუმები:

- საკვლევი თემის მკაფიოდ განსაზღვრა;
- კვლევის მიზნის მკაფიო ფორმულირება;
- სიახლე;
- თემის შესაბამისი საკვლევი მასალის მოძიებ
- კვლევის ზოგადი გეგმის მონახაზის არსებობა;
- კვლევის სავარაუდო მეთოდების განსაზღვრა;
- ესეს სიმწყობრე და ლოგიკური სტრუქტურა

პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებითა და სტუდენტთან შეთანხმებით საგამოცდო საბჭოზე ინიშნება საკვალიფიკაციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. შედეგები კანდიდატებს ეცნობებათ იმავე დღეს.

გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდნენ თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანატში 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე კანდიდატი ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას თსს აკადემიასთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

სწავლის ხანგრძლივობა : სამი წელი

სწავლის საფასური წელიწადში: „მედია ხელოვნება/ციფრული მედია“ ქართული სწავლება - 4000 GEL

შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

მედიახელოვნება/ციფრული მედია (ქართულენოვანი პროგრამა)

ხელმძღვანელი: პროფ. ნანა იაშვილი - nana.iashvili@art.edu.ge

მედიახელოვნება/ციფრული მედია (ინგლისურენოვანი პროგრამა)

ხელმძღვანელი: პროფ. კარლ სტოკერი -karl.stocker@uni-graz.at

საკონტაქტო პირი:

სვეტლანა როსტიაშვილი - (+995) 555 41 83 81